



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

25 დეკემბერი 2024



N 728/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მარნეულის მუნიციპალიტეტში, შპს „ნიუ ჯეომატერიალსის“ 412 935 მ² ფართობზე სასარგებლო წიაღისეულის (825 870 მ³ ქვიშა-ხრემის) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის I დანართის 26-ე ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს, მარნეულის მუნიციპალიტეტში, შპს „ნიუ ჯეომატერიალსის“ 412 935 მ² ფართობზე სასარგებლო წიაღისეულის (825 870 მ³ ქვიშა-ხრემის) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკოპინგის დასკვნა N73;
2. შპს „ნიუ ჯეომატერიალსი“ ვალდებულია გზმ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N73 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნიუ ჯეომატერიალსს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნიუ ჯეომატერიალსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



<https://edocument.ge/mea/public/#/728-21-4-202412251447>

